

ქალაქ გორის #16 საბავშვო ბაგა-ბაგში პროექტის პრეზენტაცია გაიმართა

08 დეკემბერი 2014

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი - ელგუჯა ხოკრიშვილი, საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის მოადგილე - ილია ელოშვილი, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე - შომბი შარპი, შიდა ქართლის გუბერნატორის პირველი მოადგილე გიორგი თოთლაძე, ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერი ზურაბ ჯირკველიშვილი და ქალაქ გორის საკრებულოს თავჯდომარე პაპუნა კობერიძე. განხორციელებული პროექტები ხელს უწყობს ადგილობრივ თვითმმართველობებს, ამ შემთხვევაში თვითმმართველი ქალაქ გორის მერიას, გააუმჯობესოს მისი ენერჯეტიკული უსაფრთხოება, შეამციროს დამოკიდებულება წიაღისეულ საწვავზე, შეამციროს სათბური აირების ემისიები და გააუმჯობესოს საკუთარი მოქალაქეების ცხოვრების დონე. აღნიშნულიდან გამომდინარე მომზადდა ენერგოაუდიტი N:16 ქ.გორის საბავშვო ბაღისათვის, რომლის საფუძველზეც შენობის შიდა კომფორტის გაუმჯობესების, ენერგორესურსების დაზოგვისა და სათბური აირების შემცირების მიზნით განხორციელდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები: - შეიცვალა კარ-ფანჯარა ორმაგი შემინვის მეტალო პლასტმასის კარ-ფანჯრებით; - შეშის ღუმელი ჩაანაცვლეს გაზის გამათბობლით; - უშუალოდ ბენეფიციარებისათვის გაუმჯობესდა შენობის შიდა კომფორტი და საცხოვრებელი პირობები; - საბავშვო ბაღის მასწავლებლებსა და ადმინისტრაციის თანამშრომლებს ჩაუტარდათ საინფორმაციო სემინარი „მერების შეთანხმება,, კლიმატის ცვლილებებისა და განახლებადი და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების შესახებ. ქ.გორის N:16 საბავშვო ბაგა-ბაღი შეძლებს მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს საყოფაცხოვრებო პირობები ბენეფიციარებისთვის და ყოველწლიურად დაზოგოს 85550 კვტ.სთ ენერჯია: ასევე შეამციროს საკუთარი დანახარჯები ენერგორესურსებზე საბაზისო ხარჯებთან შედარებით და შეამციროს CO2ემისიების 17 ტ-ით წელიწადში. აღსანიშნავია, რომ 2012 წელს ქალაქ გორმა ხელი მოაწერა „მერების შეთანხმება,, რითაც აიღო ვალდებულება ქალაქის ტერიტორიაზე 2020 წლისათვის 20%-ით შეამციროს ემისიები სხვადასხვა განახლებადი ენერჯიისა და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვით.